ანგარიშის ფორმა № 1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნიკო მუსხელიშვილის სახელობის
გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი

2019 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

1. **სამეცნიერო პუბლიკაციები იმპაქტ-ფაქტორიან გამოცემებში:**

№	პუბლიკაციის ავტორი/ავტორები	ჟურნალი, ტომი, გვერდი	პუბლიკაციის დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI
1	G. Berikelashvili, M. Mirianashvili.	Georgian Mathematical Journal. V. 26, 3, 2019, 341–349.	DOI:10.1515/gmj-2018-0075 **On the convergence of difference schemes for the generalized BBM-Burgers equation**
2	G. Giorgobiani	Journal of Mathematical Sciences, Vol. 239, No. 4, 2019, p. 438 -543.	DOI 10.1007/s10958-019-04315-9 **Rearrangements of series**
3	V. Tarieladze (with X. Dominguez and E. Martin-Peinador)	Descriptive Topology and Functional Analysis II. Springer Proceedings in Mathematics and Statistics 286(2019), 77-87	DOI: 10.1007/978-3-030-17376-05 **On ultrabarrelled spaces, their group analogues and Baire spaces**
4	V. Kvaratskhelia, M. Menteshashvili	2019, Publisher: IEEE Xplore: Electronic ISBN 978-9939-1-0998-5, https://ieeexplore.ieee.org/document/8894943	DOI: 10.1109/CSITechnol.2019.8894943 **Some Nonlinear Version of a Nonlocal Problem and Its Discrete Analogy**
5	G. Baghaturia, M. Menteshashvili	Sibirskii Matematicheskii Zhurnal, 2019, Vol. 60, No. 6, pp. 1209–1222, Russian. Siberian Mathematical Journal, 2019, Vol. 60, No. 6, pp. 940–951, English	DOI 10.33048/smzh.2019.60.602 DOI: 10.1134/S0037446619060028 **A general integral of a quasilinear equation and application to solving a nonlinear characteristic problem**
6	K.J. Kachiashvili	Biomed J. Sci. & Tech. Res., 2019, 19(3), p. 14345-14346. BJSTR. MS.ID.003304	DOI: 10.26717/BJSTR.2019.19.003304 **An Example of Application of CBM to Intersection-Union Hypotheses Testing**
7	K.J. Kachiashvili	Biostat. Biometrics Open Acc. J.; 9(2): 555759. p. 1-4. https://juniperpublishers.com/bboaj/pdf/BBOAJ.MS.ID.555759.pdf	DOI: 10.19080/BBOAJ.2019.09.555759 **Modern State of Statistical Hypotheses Testing and Perspectives of its Development**
8	K.J. Kachiashvili, I.A. Prangishvili and J.K. Kachiashvili	Biostat. Biometrics Open Acc. J. 9(3): BBOAJ.MS.ID.555761, p. 047-056.	DOI:10.17265/2159-5291/2018.04.002 **Constrained Bayesian Methods for Testing Directional Hypotheses Restricted False Discovery Rates**
9	H. Meladze, A. Prangishvili, T. Davitashvili, N. Svanidze, R. Kakubava,	2019, Publisher: IEEE Xplore:, El. ISBN: 978-1-7281-2858-0, https://ieeexplore.ieee.org/document/8895168	DOI: 10.1109/CSITechnol.2019.8895168 **Semi-Markov Queuing System with Bifurcation of Arrivals for Network Maintenance Problem**
10	H. Meladze, G. Tsertsvadze, T. Davitashvili	2019, Publisher: IEEE Xplore:, Electronic ISBN: 978-1-7281-2858-0, https://ieeexplore.ieee.org/document/8895164	DOI: 10.1109/CSITechnol.2019.8895164 **About the Spectrum of Eigenvalues of Color Operators in a Theory of Canonically Conjugate Fuzzy Sets**

11	K. Odisharia, V. Odisharia, P. Tsereteli, N. Janikashvili	Springer Proceedings in Mathematics & Statistics. Mathematics, Informatics, and their Applications in Natural Sciences and Engineering, Chapter No: 10, pp.161-168, 2019	DOI: org/10.1007/978-3-030-10419-1 ISSN 2194-1009 **On the Mathematical Model of Drug Treatment of Rheumatoid Arthritis**

2. სხვა პუბლიკაციები:

№	პუბლიკაციის ავტორი/ავტორები	ჟურნალი, ტომი, გვერდი	პუბლიკაციის დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN
1	Ed. Abramidze, El. Abramidze	Journal of Applied Mathematics, Informatics and Mechanics, 24, No. 2, 2019.	ISSN 1512-0074 **Analysis of nonlinear deformation task of layered cylindrical shell by local surface force and temperature field**
2	ლ. კახიანი, მ. კუბლაშვილი, ნ. ნებიერიძე, მ. თავაძე	სამეცნიერო ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“, 2 (51), გვ. 24-27, 2019. https://gtu.ge/Construction/Resources/Publications.php	ISSN 1512-3936 **რკინაბეტონის ელემენტების ხანგამძლეობის დადგენა „რკინაბეტონის რღვევის მექანიკის“ მეთოდების გამოყენებით**
3	Z. Gasitashvili, M. Pkhovelishvili, N. Archvadze,	WSEAS Transactions on Computers, Volume 18, 2019, Art. #7, pp. 62-69.	E-ISSN: 1109-2750 / 2224-2872 **Usage of Different Types of Data to Solve Complex Mathematical Problems**
4	N. Archvadze, N. Jorjiashvili, M. Phkhovelishvili	12th International Conference on Computer Science and Information Technologies (CSIT'2019), Yerevan, Armenia, September 22-27, 2019, Proceedings of the Conference, p. 187-190. https://csit.am/2019/proceedings.php	ISBN 978-9939-1-0998-5 **Using different Types of Data Operations for Solving Complex Mathematical Tasks**
5	M. Phkhovelishvili, N. Jorjiashvili, N. Archvadze	PRIP’2019. Pattern Recognition and Information Processing (Proceedings of 14th International Conference (21-23 May, Minsk), pp.178-181. Minsk, Bestprint	ISBN 978-985-90509-3-0 **Usage of heterogeneous data and other parallel data for prediction problems**
6	Z. Gamezadrashvili, G. Ghlonti, H. Ergun	Journal of Technical Science and Technologies, Volume 7, Issue 2, IBSU, 2019	ISSN: 2298-0032, e-ISSN: 2346-8270 **About one NoSQL Mechanism for Accessing Panel Data**
7	Z. Kipshidze, G. Ananiashvili	Bulletin of the Georgian National Academy of Sciences. 2019, 13, №2, p. 22-27	ISSN - 0132 – 1447 **To the analogy between information theory and physics**

6. **შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტები**

№	პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტში ჩართული პერსონალი/როლი	პროექტის სათაური	პროექტის განხორციელების პერიოდი
1	DI -18 – 1429	ნ. ვახანია (ხელმძღვანე-	**ალბათური მეთოდების გამოყენება**	2018 – 2021

		ლი, მექსიკა), ვ. ტარიე-ლაძე (თანახელმძღვანე-ლი). შემსრულებლები: ზ. მამფორია, ზ. სანიკი-ძე, ვ. ბერიკაშვილი, ა. ჩახვაძე	**დისკრეტული ოპტიმიზაციისა და განრიგების ამოცანებში**	

7. სხვა შედეგები:

7.1. **პუბლიკაცია საერთაშორისო კონფერენციის მასალებში**

№	პუბლიკაციის ავტორი/ები	კონფერენციის სახელწოდება და ჩატარების ადგილი	პუბლიკაციის დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN
1	V. Kvaratskhelia, M. Menteshashvili	12th Int. Conference on Computer Science and Information Technologies (CSIT 2019), September 23 –27, 2019, Yerevan, Armenia. Proceedings, p. 110-111. https://csit.am/2019/proceedings.php	ISBN 978-9939-1-0998-5 **Some Nonlinear Version of a Nonlocal Problem and Its Discrete Analogy**
2	H. Meladze, A. Prangishvili, T. Davitashvili, N. Svanidze, R. Kakubava	12th International Conference on Computer Science and Information Technologies (CSIT'2019), Yerevan, Armenia, September 22-27, 2019, Proceedings of the Conference, p.141-144. https://csit.am/2019/proceedings.php	ISBN 978-9939-1-0998-5 **Semi-Markov Queuing System with Bifurcation of Arrivals for Network Maintenance Problem**
3	H. Meladze, G. Tsertsvadze, T. Davitashvili	12th International Conference on Computer Science and Information Technologies (CSIT'2019), Yerevan, Armenia, September 22-27, 2019, Proceedings of the Conference, p.145-147. https://csit.am/2019/proceedings.php	ISBN 978-9939-1-0998-5 **About the Spectrum of Eigenvalues of Color Operators in a Theory of Canonically Conjugate Fuzzy Sets**
4	Г. Меладзе, Т. Давиташвили	Тезисы докладов, стр.114-115. Международная научная конференция «Современные проблемы вычислительной математики и математической физики» памяти академика А.А.Самарского, Москва, МГУ, 18-20 июня 2019г., https://vm.cs.msu.ru/science/samarskii2019	ISBN 978-5-89407-602-7 **Нелокальные контактные задачи для линейных эллиптических и параболических уравнений с переменными коэффициентами**
5	Г. Меладзе, Н. Схиртладзе, А. Чантуриа	Тезисы докладов, стр.186. Международная научная конференция «Современные проблемы вычислительной математики и математической физики» памяти академика А.А.Самарского, Москва, МГУ, 18-20 июня 2019г., https://vm.cs.msu.ru/science/samarskii2019	ISBN 978-5-89407-602-7 **Математическое моделирование катастрофических явлений, возникающих при разрушении плотин**
6	N. Archvadze, N. Jorjiashvili, M. Phkhovelishvili	12th International Conference on Computer Science and Information Technologies (CSIT'2019), Yerevan, Armenia, September 22-27, 2019, Proceedings of the Conference, p. 187-190. https://csit.am/2019/proceedings.php	ISBN 978-9939-1-0998-5 **Using different Types of Data Operations for Solving Complex Mathematical Tasks**
7	M. Phkhovelishvili,	PRIP’2019. Pattern Recognition and Information	ISBN 978-985-90509-3-0

	N. Jorjiashvili, N. Archvadze	Processing (Proceedings of 14th International Conference (21-23 May, Minsk), p.178-181. Minsk, Bestprint	**Usage of heterogeneous data and other parallel data for prediction problems**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ნიკო მუსხელიშვილის სახელობის

გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი

2019 წლის სამეცნიერო ანგარიში

ინსტიტუტის დირექტორი: ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვახტანგ კვარაცხელია

პერსონალური შემადგენლობა

№	გვარი. სახელი, მამის სახელი	თანამდებობა	სამეცნიერო ხარისხი
	ადმინისტრაცია		
1	კვარაცხელია ვახტანგი ვარლამის ძე	დირექტორი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი	ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი
2	გიორგობიანი გიორგი ჯიმშერის ძე	დირექტორის მოადგილე, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი	ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი
3	ექიზაშვილი მანანა გიორგის ასული	სპეციალისტი	
4	ლებანიძე დავითი თენგიზის ძე	სპეციალისტი	
5	ბოკუჩავა ნინო მურმანის ასული	კანცელარის უფროსი	
6	კაკაბაძე ლოზანა ვლადიმერის ასული	სპეციალისტი	
	ბიბლიოთეკა და მონიტორინგის სამსახური		
7	ტუღუში მადონა გიორგის ასული	ბიბლიოთეკის გამგე	
8	აბრამიძე ელენე აპოლონის ასული	სპეციალისტი	
9	ფეიქრიშვილი ნატა სერგოს ასული	სპეციალისტი	
10	ტუხაშვილი ჟუჟუნა სიმონის ასული	სპეციალისტი	
11	კიკნაძე დიმიტრი ლევანის ძე	უფროსი სპეციალისტი	

12	ჩახუნაშვილი ელენე გიორგის ასული	სპეციალისტი	

გამოთვლითი მეთოდების განყოფილება

13	სანიკიძე ჯემალი გურის ძე	განყოფილების გამგე (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი)	ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი
14	ზაქრაძე მამული ვლადიმერის ძე	მთავარი მეცნიერი თანამშრომელი	ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი
15	კუბლაშვილი მურმანი დავითის ძე	მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (0.5)	ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი
16	სანიკიძე ზაზა ჯემალის ძე	უფროსი მეცნიერი თანამშრომელი	ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი
17	აბრამიძე ედისონი აპოლონის ძე	მეცნიერი თანამშრომელი (0.5)	ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა მეცნ. კანდიდატი
18	კუპატაძე კოტე რამაზის ძე	მეცნიერი თანამშრომელი	ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი
19	მირიანაშვილი მანანა გიორგის ასული	მეცნიერი თანამშრომელი	ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი
20	კობლიშვილი ნანული იოსების ასული	პროგრამისტი	

ალბათურ-სტატისტიკური მეთოდების განყოფილება

21	ტარიელაძე ვაჟა იზეთის ძე	განყოფილების გამგე (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი) (0.5)	ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი
22	ჩობანიანი სერგო აკოფის ძე	მთავარი მეცნიერი თანამშრომელი	ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი
23	გიორგობიანი გიორგი ჯიმშერის ძე	მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (0.5)	ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი
24	მამფორია ბადრი ივლიანეს ძე	მთავარი მეცნიერი თანამშრომელი	ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი
25	ჭელიძე გიორგი ზურაბის ძე	უფროსი მეცნიერი თანამშრომელი (0.5)	ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი
26	ბერიკაშვილი ვალერი გოდერძის ძე	მეცნიერი თანამშრომელი	დოქტორანტი

ინფორმატიკის განყოფილება

27	მელაძე ჰამლეტი ვარლამის ძე	განყოფილების გამგე (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი) (0.5)	ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი
28	ფხოველიშვილი მერაბი გაიოზის ძე	მთავარი მეცნიერი თანამშრომელი	ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი
29	ცერცვაძე გურამი ნიკოლოზის ძე	მთავარი მეცნიერი თანამშრომელი	ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი

30	ყიფშიძე ზურაბი შალვას ძე	უფროსი მეცნიერი თანამშრომელი	ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი
31	ღლონტი გიორგი გენადის ძე	მეცნიერი თანამშრომელი (0.5)	ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი
32	ყაჭიაშვილი ქართლოს იოსების ძე	უფროსი მეცნიერი თანამშრომელი (0.5)	ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი
33	ჩახვაძე ალექსანდრე ელგუჯას ძე	მეცნიერი თანამშრომელი (0.5)	ინფორმატიკის მაგისტრი
34	სილაგაძე გივი სერგოს ძე	პროგრამისტი	ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი
35	ჯავახიშვილი ცოტნე პაატას ძე	პროგრამისტი	მაგისტრანტი
36	კორჟი ვლადიმერი ივანეს ძე	IT მენეჯერი	
37	პაპიაშვილი მაგული რომანის ასული	პროგრამისტი (0.5)	ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი

მათემატიკური მოდელირების განყოფილება

38	უგულავა დუგლასი კარლოს ძე	განყოფილების გამგე (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი) (0.5)	ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი
39	ზარნაძე დავითი ნიკოლოზის ძე	მთავარი მეცნიერი თანამშრომელი	ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი
40	მენთეშაშვილი მარინე ზაურის ასული	მთავარი მეცნიერი თანამშრომელი	ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი
41	ნაჭყებია მზიანა დავითის ასული	უფროსი მეცნიერი თანამშრომელი	ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი
42	ბაღათურია გიორგი გურამის ძე	უფროსი მეცნიერი თანამშრომელი	მათემატიკის აკადემიური დოქტორი
43	წერეთელი პაატა ანდროს ძე	მთავარი მეცნიერი თანამშრომელი	ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი
44	ნიკოლეიშვილი მიხეილი მიხეილის ძე	მეცნიერი თანამშრომელი	ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი
45	გიორგობიანი ჯიმშერი ალექსანდრეს ძე	კონსულტანტი	ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი
46	მეტონიძე ნანული აკაკის ასული	სპეციალისტი	

სამეურნეო ნაწილი

47	ხომერიკი ბორისი ვლადიმერის ძე	სამეურნეო ნაწილის უფროსი	
48	მენთეშაშვილი მერაბი ზაურის ძე	ადმინისტრატორი	
49	მაისურაძე დავითი რობერტის ძე	მომმარაგებელი	
50	ბუაჩიძე გონერი დავითის ძე	მთავარი ენერგეტიკოსი	

51	ბერუაშვილი თეიმურაზი ვახტანგის ძე	დამხმარე მოსამსახურე	
52	გუგეშაშვილი ავთანდილი სოლომონის ძე	დამხმარე მოსამსახურე	
53	დუდაშვილი ჯემალი სოსლანის ძე	მეეზოვე	
54	გულედანი ნუნუ შოთას ასული	დამლაგებელი	
55	პაპუაშვილი თამარ გელას ასული	დამლაგებელი	

შტატგარეშე

56	პაპუაშვილი მზია ზურაბის ასული	დამლაგებელი	
57	ბოცვაძე ზვიადი გივის ძე	დამხმარე მოსამსახურე	

1.პროგრამული დაფინანსებით შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
1	მათემატიკური და კომპიუტე-რული მოდელები – თეორია და პრაქტიკა. გამოთვლითი ალგო-რითმების აგება და რეალიზაცია/ ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები/ მათემატიკა, ინფორმატიკა	2018 - 2022	პროექტში ჩართულია ინსტიტუტის მთელი სამეცნიერო პერსონალი და პროგრამისტები

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

მიმდინარე 2019 წელს ინსტიტუტში მიმდინარეობდა ხუთწლიანი პროექტის „მათემატიკური და კომპიუტე-რული მოდელები – თეორია და პრაქტიკა. გამოთვლითი ალგორითმების აგება და რეალიზაცია“ გარდამა-ვალი ეტაპის, მეორე წლის, გეგმით გათვალისწინებულ ამოცანებზე მუშაობა.

პროექტით განსაზღვრულია 4 სამეცნიერო მიმართულება:

მიმართულება 1. გამოთვლითი ალგორითმების კონსტრუირება და გამოყენება მათემატიკური ფიზიკის და მექანიკის ზოგიერთი ამოცანის მიახლოებითი ამოხსნისათვის.

მიმართულება 2. ოპერაციულ, არაწრფივ და არაკორექტულ ამოცანათა მათემატიკური მოდელირება და შესაბამის ამოცანათა ანალიზური და რიცხვითი ამოხსნების მეთოდების დამუშავება.

მიმართულება 3. მწკრივები, მაქსიმალური უტოლობები და სტოქასტური განტოლებები ფუნქციონალური ანალიზის, დიდ მონაცემთა სტატისტიკური ანალიზისა და დისკრეტული ოპტიმიზაციის ამოცანებში.

მიმართულება 4. დიდი მოცულობისა და რთული სტრუქტურის მონაცემების დამუშავების პარალელური ალგორითმების აგება, ანალიზი, რეალიზაცია და შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის ვერიფიკაცია.

ქვემოთ მოცემულია ინსტიტუტის სამეცნიერო ანგარიში მიმართულებების მიხედვით.

მიმართულება 1

მიმართულება 1 ძირითადად მუშავდება გამოთვლითი მეთოდების განყოფილებაში განყოფილების გამგის, χ. სანიკიძის ხელმძღვანელობით. შემსრულებლები არიან მ. ზაქრაძე, მ. კუბლაშვილი (მთავარი მეცნიერი თანამშრომლები), ზ. სანიკიძე (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი), მ. მირიანაშვილი, ედ. აბრამიძე, კ. კუპატაძე (მეცნიერი თანამშრომლები), ნ. კობლიშვილი (პროგრამისტი).
ამ მიმართულებით მუშავდებოდა საანგარიშო წლის გეგმით გათვალისწინებული შემდეგი ამოცანები:

ამოცანა 1.1. სააპროქსიმაციო გამოთვლითი სქემების აგება და შესწავლა მათემატიკური ფიზიკის გარკვეული ტიპის სასაზღვრო ამოცანების შესაბამის კოშის გულის მქონე სინგულარული ინტეგრალებისათვის.
მიმდინარე წელს გაგრძელდა მუშაობა კოშის ტიპის სინგულარული ინტეგრალებით წარმოდგენილ განტოლებებზე, რომლებიც იმავდროულად ე. წ. წონით ფუნქციებსაც შეიცავენ.
კონსტრუირებულია სათანადო გამოთვლითი სქემები. იაკობის წონითი ფუნქციების შემთხვევაში დაზუსტებულია ამონახსნის ერთადერთობის საკითხი და ნაჩვენებია შესაბამისი კვადრატურული პროცესების კრებადობა. მოყვანილია სათანადო ნაშთითი წევრების შეფასება განხილულ სივრცეებში.
კომპიუტერული გამოთვლების საფუძველზე მიღებულია რიცხვითი შედეგები, რომლებიც ადეკვატურად ასახავენ შესაბამის თეორიულ კვლევებს.
განყოფილების თანამშრომლების მონაწილეობით, წინა წელს ჩატარებულ კვლევებზე დაყრდნობით, მიღებული იქნა გარკვეული შედეგები ბენχამინ-ბონა-მაჰონი-ბურგერსის საწყის-სასაზღვრო განტოლების რიცხვითი ანალიზის მიმართულებით. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, გამოქვეყნებულია სამეცნიერო სტატია იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალში (იხ. **სტატიები უცხოეთში, [1]**), გადაცემულია დასაბეჭდად 1 სტატია (დამატებითი ინფორმაცია: **იბეჭდება ნაშრომი [1]**).

ამოცანა 1.2. დირიხლეს ჩვეულებრივი და განზოგადებული ჰარმონიული ამოცანების მიახლოებით ამოხსნა ალბათური მეთოდით, ერთი ზედაპირით შემოსაზღვრული სივრცითი სასრული არეების შემთხვევაში.
(აქ განზოგადებული ამოცანის ქვეშ იგულისხმება შემთხვევა, როცა სასაზღვრო ფუნქციას აქვს პირველი გვარის წყვეტის წირთა სასრული რაოდენობა).
აღნიშნული ამოცანის ფარგლებში, გრძელდებოდა კვლევები დირიხლეს ჩვეულებრივი და განზოგადებული სივრცითი ჰარმონიული ამოცანების მიახლოებითი ამოხსნისათვის მაღალი სიზუსტის და ეფექტურად რეალიზებადი გამოთვლითი ალგორითმების აგების მიმართულებით.
ვინერის პროცესის კომპიუტერული მოდელირების საფუძველზე აგებული ალბათური მეთოდის გამოყენებით მიღებული იქნა რიცხვითი ამოხსნები მართი წრიული სრული კონუსის, წაკვეთილი კონუსისა და მართკუთხა პარალელეპიპედის ფორმის მქონე არეებისათვის. ისევე როგორც წინა წელს განხილული სამღერძა ელიფსოიდის, ბირთვის, ბირთვული ფენისა და ცილინდრის შემთხვევებში, ჩატარებული გამოთვლითი შედეგების ანალიზმა აჩვენა ჩვენს მიერ შემოთავაზებული ალგორითმის სიმარტივე, ეფექტურობა და რიგი პრაქტიკული ამოცანებისათვის საკმარისი სიზუსტე. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, მომზადდა 2 სტატია გამოსაქვეყნებლად (იხ. დამატებითი ინფორმაცია: **იბეჭდება ნაშრომი [2]**, **მომზადებული ნაშრომი [1]**), გაკეთდა მოხსენება საერთაშორისო **ფორუმზე საქართველოში [1].**

ამოცანა 1.3. ფენოვანი ცილინდრული გარსის დეფორმაციის ამოცანის შესწავლა ლოკალური ზედაპირული ძალებით დატვირთვის შემთხვევაში.
აგებული იქნა ტემპერატურული ველის ზემოქმედებისას ცილინდრული გარსის დეფორმირებულ-დაძაბული მდგომარეობის ამსახველი დიფერენციალურ განტოლებათა სისტემა. დამუშავდა მისი რიცხვითი ამოხ-

სნის ალგორითმები და სათანადო პროგრამული უზრუნველყოფა სხვადასხვა სახის კერძო ამოცანებისთვის. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, გამოქვეყნებულია სამეცნიერო სტატია (იხ. **სტატიები საქართველოში ISSN-ის მითითებით [1]**), გაკეთდა მოხსენება საერთაშორისო **ფორუმზე საქართველოში [2]**.

ამოცანა 1.4. რიცხვითი ალგორითმების დამუშავება საინჟინრო მექანიკის ზოგიერთი ამოცანისათვის.
მიმდინარე წელს გაგრძელდა თეორიული და პრაქტიკული კვლევები ბზარების მქონე კონსტრუქციებისა და მექანიკური ნაწილების საინჟინრო გაანგარიშებებთან დაკავშირებული ამოცანების ირგვლივ. განხილული იქნა შემთხვევები, სადაც საინჟინრო დეტალის შესუსტება ძირითადად განპირობებულია კოლინეარული და თერმოიზოლირებული ბზარების არსებობით. შესაბამისი ინტეგრალური განტოლებებისთვის აგებულია გამოთვლითი სქემები და შექმნილია სათვლელი პროგრამები დრეკადობის სხვადასხვა მახასიათებლის შემთხვევაში. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, გამოქვეყნებულია სამეცნიერო სტატია (იხ. **სტატიები საქართველოში ISSN-ის მითითებით [2]**), მომზადდა 1 სტატია გამოსაქვეყნებლად (დამატებითი ინფორმაცია: **მომზადებული ნაშრომები [2]**).

განყოფილების 1 თანამშრომელი მონაწილეობს საგრანტო პროექტში DI -18 – 1429.

მიმართულება 2

მიმართულება 2 ძირითადად მუშავდება მათემატიკური მოდელირების განყოფილებაში განყოფილების გამგის, დ. უგულავას ხელმძღვანელობით. შემსრულებლები არიან: დ. ზარნაძე, მ. მენთეშაშვილი, პ. წერეთელი (მთავარი მეცნიერი თანამშრომლები), მ. ნაჭყებია, გ. ბაღათურია (უფროსი მეცნიერი თანამშრომლები), მ. ნიკოლეიშვილი (მეცნიერი თანამშრომელი), ჯ. გიორგობიანი (კონსულტანტი), ნ. მეტონიძე (სპეციალისტი). მათემატიკური მოდელირების განყოფილების 2018-2022 ხუთწლიანი გეგმით დასახულია ოპერაციულ, არაწრფივ და არაკორექტულ ამოცანათა მათემატიური მოდელირება და შესაბამის ამოცანათა ანალიზური და რიცხვითი ამოხსნების მეთოდების დამუშავება. დაგეგმილია ოთხი ძირითადი ამოცანის კვლევა:

ამოცანა 2.1. მიკროეკონომიკის დეტერმინირებულ და ნაწილობრივ განუზღვრელობის შემცველ ამოცანათა მათემატიკური მოდელირება და მათი რიცხვითი ამოხსნების მეთოდების დამუშავება.
ამოცანის დამუშავებაში მონაწილეობდნენ ჯ. გიორგობიანი (თემის ხელმძღვანელი), მ. ნაჭყებია, მ. ნიკოლეიშვილი, ნ. მეტონიძე. ჩატარებულია კვლევები მიკროეკონომიკის ერთი მნიშვნელოვანი მიმართულების-რესურსების ოპტიმალური განაწილების ამოცანებზე. განხილულია წარმოების მართვის ამოცანა, როცა საწარმოო რესურსი არის შემთხვევითი და მიეწოდება მეწარმეს დროის გარკვეულ პერიოდებში. განხილული სქემა სხვადასხვა ვარიაციებით გამოიყენება მარაგთა მართვის თეორიაში, პოპულარულია აგრეთვე წყალსაცავიანი ჰესის რეგულირების და სხვა ჰიდროლოგიურ ამოცანებში. განსახილველი ამოცანები ყალიბდება ოპერაციათა კვლევის, კერძოდ, თამაშთა თეორიის ჩარჩოებში. ამ საკითხებთან დაკავშირებით გამოსაქვეყნებლად მზადდება სამეცნიერო ნაშრომი.
მთელრიცხვა ოპტიმიზაციის ამოცანების ერთი კლასისათვის შესწავლილია პირობითი ექსტრემუმის პოვნის ამოცანა. დამუშავებულია აგებული ალგორითმის პროგრამული უზრუნველყოფა. მიღებული შედეგები გამოიყენება რესურსების განაწილების ამოცანებში. ამ საკითხებთან დაკავშირებით გამოსაქვეყნებლად მზადდება სამეცნიერო ნაშრომი.

ამოცანა 2.2. კომპიუტერული ტომოგრაფიის ამოცანის მიახლოებითი ამოხსნის ახალი წრფივი სპლაინური ცენტრალური ალგორითმი.
ამოცანის დამუშავებაში მონაწილეობდნენ დ. ზარნაძე (თემის ხელმძღვანელი) და დ. უგულავა. შესწავლილია განუზღვრელობის (ცდომილების) ზომის დადგენის ამოცანა არასრული არაადაპტური ინფორმაციის

ბაზაზე. კომპიუტერული ტომოგრაფიის ამოცანა განხილულია სასრულო ორბიტების ჰილბერტის სივრცეში. მისთვის აგებულია წრფივი სპლაინური ცენტრალური ალგორითმი. მიახლოებითი ამონახსნის სახე იგივეა ყველა ორბიტების ფრეშეს სივრცეშიც, რომელიც წარმოადგენს სასრულო ორბიტების სივრცეების პროექციულ ზღვარს (იხ. **მომზადებული სტატია [9])**

ამოცანა 2.3. არაკორექტული შებრუნებული ამოცანების მიახლოებითი ამოხსნა ჰილბერტის სივრცეში ორბიტალური სივრცეებისა და ორბიტალური ოპერატორების გამოყენებით.

ამ თემასთან (ხელმძღვანელი დ. უგულავა, შემსრულებლები დ. ზარნაძე) დაკავშირებით, შესწავლილია არასტაბილურ განტოლებათა ამოხსნის საკითხი ე.წ. სასრულო ორბიტების ჰილბერტის სივრცეში და ყველა ორბიტების ფრეშეს სივრცეში სინგულარული დაშლის მქონე ოპერატორებისათვის ორბიტალური ოპერატორების საშუალებით. აგრეთვე შესწავლილია შემთხვევა, როდესაც განტოლებაში შემავალი ოპერატორი არის კვანტურ ფიზიკაში კარგად ცნობილი ერთ ან მრავალგანზომილებიანი ჰარმონიული ოსცილატორის ოპერატორი. თეორიული დასკვნები სრულ შესაბამისობაშია რიცხვითი ექსპერიმენტით მიღებულ შედეგებთან (იხ. **მომზადებული სტატია [10]**).

2. 2 და 2. 3 ამოცანებთან დაკავშირებით აგრეთვე იხილეთ მოხსენებები საერთაშორისო **ფორუმებზე საქართველოში [15, 16, 18, 19]**. მიმდინარე წელს დამთავრდა მუშაობა მონოგრაფიაზე „წრფივი სპლაინური ცენტრალური ალგორითმები, მათი განზოგადებები და გამოყენებები“ (320 გვ.).

ამოცანა 2.4. კვაზიწრფივი განტოლების ზოგადი ინტეგრალი და მისი გამოყენება არაწრფივი მახასიათებელი ამოცანის ამოსახსნელად.

თემა მუშავდება მ. მენთეშაშვილის (ხელმძღვანელი) და გ. ბაღათურიას და მიერ.

ა) შესწავლილია საწყისი და მახასიათებელი ამოცანები რიგისა და ტიპის შესაძლო გადაგვარების მქონე მეორე რიგის კვაზიწრფივ ჰიპერბოლურ განტოლებათა გარკვეული კლასისათვის. აღწერილია განტოლებების ზოგადი ინტეგრალების აგების პროცესი მახასიათებელთა მეთოდის გამოყენებით. დადგენილია საწყისი და მახასიათებელი ამოცანების ამონახსნების არსებობის საკმარისი პირობები. შედეგები გაფორმდა სტატიის სახით „კვაზიწრფივი განტოლებების ზოგადი ინტეგრალი და მისი გამოყენება არაწრფივი მახასიათებელი ამოცანის ამოსახსნელად (იხ. **სტატია უცხოეთში [5])**.

ბ) დუბრეილ-ჟაკოტენის მონათესავე განტოლებისათვის კონკრეტული საწყისი შეშფოთების შემთხვევაში დადგენილია მახასიათებელ წირთა ოჯახების და ამონახსნების განსაზღვრის არეთა სტრუქტურები. შედეგები მოხსენებულია საერთაშორისო **ფორუმზე უცხოეთში [9]**.

გ) განხილულია პირველი რიგის კვაზიწრფივი ერთგვაროვანი განტოლებებისგან შემდგარი სისტემა და მისი ეკვივალენტური ინვოლუციური სისტემა. ინვოლუციური სისტემები თავსებადია და ზოგადი ამონახსნის თავისუფლების ხარისხი ადვილი დასადგენია. მოცემული ჰიპერბოლური სისტემისთვის არსებობს სპეციალური სახის ფუნდამენტური ამონახსნები (არაწრფივი ტალღები). თავსებადობის პირობების გამოყენებით ტარდება ანალიზი ისეთი ახალი ამონახსნების არსებობის დასადგენად, რომლებიც მიიღება ფუნდამენტური ამონახსნების მეშვეობით. ასეთი ამონახსნები ჩაიწერება არაწრფივი ურთიერთქმედი ტალღების სუპერპოზიციით. თავსებადობის პირობების დახმარებით ხდება ამ ახალი ამონახსნების თვისებების დადგენაც (იხ. მოხსენება **საერთაშორისო ფორუმზე უცხოეთში [10]**).

დ) კვაზიწრფივი ნამდვილმახასიათებლებიანი ერთი განტოლებისათვის შესწავლილია დარბუს ტიპის არალოკალური ამოცანის ამოხსნადობისა და ერთადერთობის საკითხები. განხილულია შერეული მახასიათებელი არალოკალური ამოცანა წრფივმახასიათებლებიანი მეორე რიგის კვაზიწრფივი განტოლებისათვის. შესწავლილია ამონახსნის არსებობისა და ერთადერთობის საკითხი, აგებულია სხვაობიანი სქემა, დამტკიცებულია სქემის კრებადობა საძიებელი ამონახსნისაკენ (იხ. **სტატია უცხოეთში [4]; მოხსენებები საერთაშორისო ფორუმებზე, უცხოეთში [8], საქართველოში [17]**).

მიმართულება 3

მიმართულება 3 ძირითადად მუშავდება ალბათურ-სტატისტიკური მეთოდების განყოფილებაში განყოფილების გამგის, ვ. ტარიელაძის ხელმძღვანელობით. შემსრულებლები არიან: ს. ჩობანიანი, ვ. კვარაცხელია, ბ. მამფორია, გ. გიორგობიანი (მთავარი მეცნიერი თანამშრომლები), გ. ჭელიძე (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი), ვ. ბერიკაშვილი (მეცნიერი თანამშრომელი).
განყოფილების 2018-2022 ხუთწლიანი გეგმით დაგეგმილია ორი ძირითადი ამოცანის კვლევა:

ამოცანა 3.1. მაქსიმალური უტოლობები ფუნქციონალურ ანალიზში, უთანადობათა (discrepancy) თეორიის ამოცანების ალგორითმიზაციაში, სახეთა ამოცნობასა და დიდ მონაცემთა ანალიზში.
განყოფილების კვლევების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა მაქსიმალური უტოლობების კვლევა ვექტორული შესაკრებების გადანაცვლებებისა და ნიშნების განლაგებისთვის, რომელთაც მრავალი გამოყენება აქვთ როგორც მათემატიკაში, ასევე სხვადასხვა პრაქტიკულ ამოცანებში. ამ საკითხებს მიეძღვნა:

- ✓ ნაშრომი (იხ.**სტატია უცხოეთში [2]**), რომელიც დაფუძნებულია ავტორის საკანდიდატო დისერტაციაზე და მოიცავს ბოლო წლებში ამ მიმართულებით მიღებულ ახალ შედეგებსაც. ნაშრომი შედგება 4 თავისგან (110 გვ). განხილულია ვექტორული და ფუნქციონალური მწკრივების, მათ შორის ორთოგონალური მწკრივების, გადანაცვლებებთან დაკავშირებული ამოცანები. გამოყენებულია ალბათური მეთოდებიც, რომელთაც ეძღვნება ცალკე თავი.
- ✓ **მოხსენებები საერთაშორისო ფორუმზე უცხოეთში** [1,2] (ბუდაპეშტი, უნგრეთი): მიწვეულ მოხსენებაში [1] განხილულია მაქსიმალური უტოლობები გადანაცვლებებისთვის, მათი გამოყენებები ფუნქციონალური მწკრივების კრებადობის საკითხებში. ამ თემაზე აგრეთვე მომზადებული და გადაცემულია სტატია (იხ. **დასაბეჭდად გადაცემული ნაშრომები [1]**); მოხსენება [2] ეხება ულიანოვის პრობლემასთან დაკავშირებულ პეჩერსკი-რევეშის თეორემას. ჩვენს მიერ ადრე ნაჩვენები იყო, რომ (σ,θ)-პირობა პერიოდული, უწყვეტი ფუნქციის ტრიგონომეტრიულ ფურიეს მწკრივისთვის უზრუნველყოფს თანაბრად კრებადი გადანაცვლების არსებობას. ნაჩვენებია, რომ (σ,θ)-პირობა არ არის აუცილებელი პირობა. ამავე საკითხებზე აგრეთვე მომზადებულია სტატია, რომლის გამოქვეყნება იგეგმება იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალში Analysis Mathematica (იხ. **მომზადებული ნაშრომი [3]**).
- ✓ **მოხსენება საერთაშორისო კონფერენციაზე უცხოეთში**, ავეიროში (პორტუგალია) [3]. მოხსენება ეხება ჩობანიან-პეჩერსკის თეორემას მწკრივის ჯამთა სიმრავლის აფინურობაზე ბანახის სივრცეებში. მოცემულია საკმარისი პირობები. ასევე განხილულია ამ ამოცანასთან დაკავშირებული ზოგიერთი წრფივი უწყვეტი ოპერატორი, შემოყვანილია ამ ტიპის ოპერატორების ერთი კლასი.
- ✓ **იბეჭდება ნაშრომი** [3] (იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალში Periodica Mathematica Hungarica), რომელშიც მიღებულია მაქსიმალური უტოლობები სასრულგანზომილებიანი ვექტორების ჯამების ნორმების მაქსიმუმების შესაფასებლად ნიშნების განლაგებისთვის. გამოყენებულია ალბათური მეთოდი, რაც ასევე გვაძლევს ნიშნების „კარგი“ ერთობლიობების სიმრავლის ალბათურ შეფასებებს. მიღებულია მატრიცული ნორმების ზედა საზღვრები ორთოგონალური მატრიცებისთვის. მიღებული უტოლობები, ჩობანიანის ცნობილი „გადატანის თეორემის“ გამოყენებით, გავრცელებულია ვექტორული შესაკრებების გადანაცვლებისთვის. ადამარის მატრიცებისთვის ანალოგიური შეფასებები მიიღება როგორც კერძო შემთხვევა. ჩვენი ინტერესი ადამარის მატრიცებისადმი განპირობებულია მათი მრავალმხრივი გამოყენებებით, როგორიცაა მაგალითად სახეთა ამოცნობის, სიგნალის აღდგენის, სატელიტური და ფიჭური გადაცემების, ქიმიური ფიზიკის, კოდირების თეორიის და სხვა ამოცანები.

ამოცანა 3.1-ის თემატიკას აგრეთვე მიეძღვნა მოხსენებები **ფორუმებზე საქართველოში [3, 10, 11]**.

საანგარიშო წელს გრძელდებოდა ვექტორულ სივრცეებში მნიშვნელობების მქონე სუბგაუსის შემთხვევითი ელემენტების თვისებების შესწავლა. კერძოდ, მიღებული იქნა შემდეგი შედეგები:

- ✓ ვთქვათ, ξ არის სუსტად სუბგაუსის შემთხვევითი ელემენტი მნიშვნელობებით X ბანახის სივრცეში. მაშინ პირობიდან, ξ არის T-სუბგაუსის შემთხვევითი ელემენტი, გამომდინარეობს, რომ ინდუცირებული ოპერატორი $T_\xi: X^* \to SG(\Omega)$ არის 2-აბსოლუტურად შემკრები ოპერატორი. შებრუნებული დებულებაც სწორია, თუ X არის ტიპი 2-ის მქონე რეფლექსური ბანახის სივრცე;
- ✓ ჰილბერტის სეპარაბელურ H სივრცეში ξ შემთხვევითი ელემენტი არის T-სუბგაუსის შემთხვევითი ელემენტი მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა
$$\sum_{n=1}^{\infty} \tau^2(\langle e_n, \xi\rangle) < \infty,$$
H-ის ნებისმიერი (e_n) ორთონორმირებული ბაზისისათვის;
- ✓ ყოველი F-სუბგაუსის შემთხვევითი ელემენტისათვის ინდუცირებული ოპერატორი $T_\xi: X^* \to SG(\Omega)$ არის 2-აბსოლუტურად შემკრები ოპერატორი;
- ✓ ჰილბერტის სეპარაბელურ სივრცეში არსებობს შემოსაზღვრული და სიმეტრიული შემთხვევითი ელემენტი, რომელიც არ არის T-სუბგაუსის;
- ✓ ჰილბერტის სეპარაბელურ სივრცეში არსებობს შემოსაზღვრული და სიმეტრიული ξ შემთხვევითი ელემენტი, რომლის შესაბამისი ინდუცირებული ოპერატორი $T_\xi: X^* \to SG(\Omega)$ არ არის 2-აბსოლუტურად შემკრები;
- ✓ ვთქვათ, H არის ჰილბერტის უსასრულოგანზომილებიანი სეპარაბელური სივრცე, (e_n) არის H-ის ორთონორმირებული ბაზისი. მაშინ არსებობს შემოსაზღვრული და სიმეტრიული $\xi: \Omega \to H$ შემთხვევითი ელემენტი, რომლისთვისაც:
  - (a) $\sum_{n=1}^{\infty} \|\langle e_n, \xi\rangle\|_{L_p}^2 < \infty$ ყოველი $p \in]0, \infty[$-სათვის;
  - (b) $\sum_{n=1}^{\infty} \tau^2(\langle e_n, \xi\rangle) = \infty$;
  - (c) ინდუცირებული ოპერატორი $T_\xi: H \to SG(\Omega)$ არ არის 2-აბსოლუტურად შემკრები.

მიღებული შედეგები აისახა მადრიდსა და თბილისში გამართულ ვორკშოპსა და საერთაშორისო კონფერენციებზე წაკითხულ მოხსენებებში (იხ. **მოხსენებები საერთაშორისო ფორუმებზე უცხოეთში** [4],**საქართველოში [4, 12, 13]**). ამ მიმართულებით მუშობა გრძელდება და ვგეგმავთ ახალი შედეგების მიღებას.

ამოცანა 3.2. უსასრულოგანზომილებიან სივრცეებში სტოქასტური დიფერენციალური განტოლებების კვლევის ახალი ასპექტები. ზოგიერთი გამოყენება.

- ✓ განხილულია ვინერის პროცესის ფუნქციონალის წარმოდგენის საკითხი ბანახის სივრცეში. მიღებულია ასევე ერთგანზომილებიანი შედეგი, რომელიც ეხება ფუნქციონალის მეშვეობით ინტეგრანდისკენ კრებადი საფეხურებიანი ფუნქციების მიმდევრობის აგებას. იმ შემთხვევაში, როცა ფუნქციონალი და ვინერის პროცესი ერთობლიობაში გაუსისაა, ეს საკითხი განხილულია რ. ლიფცერისა და ა. შირიაევის ცნობილ მონოგრაფიაში „შემთხვევითი პროცესების სტატისტიკა“.
- ✓ მიღებულია იტოს ფორმულა, როცა იტოს პროცესში სტოქასტური ინტეგრალი აღებულია ცილინდრული ვინერის პროცესით (ზოგადი შემთხვევა). ადრე მიღებული გვქონდა ეს ფორმულა ა) ბანახის სივრცეში მნიშვნელობების მქონე ვინერის პროცესის შემთხვევაში; ბ) როცა იტოს პროცესში სტოქატური ინტეგრალი აღებულია ბანახის სივრცეში მნიშვნელობების მქონე არაწინმსწრები პროცესიდან რიცხვითი ვინერის პროცესით; გ) როცა იტოს პროცესში სტოქასტური ინტეგრალი აგებულია ვინერის პროცესით ბანახის სივრცეში.

ამ საკითხებზე იხილეთ მოხსენებები **საერთაშორისო ფორუმებზე საქართველოში [6, 7, 14], მომზადებული ნაშრომები [5, 6].**

გრძელდება ტოპოლოგიების კვლევა ვექტორული სივრცეებისა და ჯგუფებისთვის. მიღებულია შედეგები: კასრისებური (barrelled) ნორმირებული სივრცეებისთვის; მაკის და LQC-მაკის ტოპოლოგიებისთვის. განხილულია ლოკალურად ამოზნექილი ტოპოლოგიები ნორმირებული სივრცეებისთვის **(იხ. სტატია უცხოეთში [3], მოხსენებები ფორუმებზე უცხოეთში [5, 6, 7]).**

განყოფილების ახალგაზრდა მეცნიერი თანამშრომელი (დოქტორანტი) მუშაობს განყოფილების ტრადიციულ თემატიკაზე. კერძოდ, იგი იკვლევს კლასიკური თეორემების ანალოგებს სუსტად კორელირებული შემთხვევითი ელემენტებისათვის ჰილბერტის სივრცეში (იხ. **მოხსენება ფორუმზე საქართველოში** [5]).

განყოფილების 3 თანამშრომელი მონაწილეობს საგრანტო პროექტში DI -18 – 1429.

მიმართულება 4

მიმართულება 4 ძირითადად მუშავდება ინფორმატიკის განყოფილებაში განყოფილების გამგის, ჰ. მელაძის ხელმძღვანელობით. შემსრულებლები არიან მ. ფხოველიშვილი, გ. ცერცვაძე (მთავარი მეცნიერი თანამშრომლები), ზ. ყიფშიძე, ქ. ყაჭიაშვილი (უფროსი მეცნიერი თანამშრომლები), გ. ღლონტი, ა. ჩახვაძე (მეცნიერი თანამშრომლები), გ. სილაგაძე, ც. ჯავახიშვილი, მ. პაპიაშვილი (პროგრამისტები), ვ. კორჟი (IT მენეჯერი).
ინფორმატიკის განყოფილების 2018-2022 ხუთწლიანი გეგმით დასახულია დიდი მოცულობისა და რთული სტრუქტურის მონაცემების დამუშავების პარალელური ალგორითმების აგება, ანალიზი, რეალიზაცია და შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის ვერიფიკაცია. დაგეგმილია 4 ძირითადი ამოცანის კვლევა:

ამოცანა 4.1. მონაცემთა დამუშავება კანონიკურად შეუღლებულ არამკაფიო ქვესიმრავლეთა თეორიის საფუძველზე.
საანგარიშო პერიოდში სამუშაოები მიმდინარეობდა დიდი მოცულობის რთული და არაზუსტი ინფორმაციის დამუშავების პროცესში ობიექტური და სუბიექტური (საექსპერტო) მონაცემების დამუშავების ანალიზსა და მათი რაოდენობრივი მახასიათებლების აღწერა-კლასიფიკაციაში. აღმოჩნდა, რომ კანონიკურად შეუღლებული არამკაფიო ქვესიმრავლის ახალი ცნების შემოღება შეიცავს დამატებით ინფორმაციას საინფორმაციო ერთეულის შესახებ. არამკაფიო შეუღლებული ქვესიმრავლის ცნების შემოღებით შემუშავებული იქნა საინფორმაციო ერთეულის ახალი მახასიათებლის - არამკაფიო ფერის შესაბამისი შეთანხმებულობის ფუნქციის აგების მეთოდი და დადგენილი იქნა ფერის საინფორმაციო ფუნქციის კავშირი შეთანხმებულობის ფუნქციასთან (იხ. **სტატია უცხოეთში [7], მოხსენებები ფორუმებზე უცხოეთში [12]**).

ამოცანა 4.2. არალოკალური საკონტაქტო ამოცანები მათემატიკური ფიზიკის წრფივი დიფერენციალური განტოლებებისათვის.
საანგარიში წელს გრძელდებოდა წინა წლებში დაწყებული კვლევები, რომელიც შეეხებოდა მათემატიკური ფიზიკის განტოლებებისათვის არალოკალური ამოცანების ამონახსნების თვისებების შესწავლას და რიცხვითი ალგორითმების დამუშავებას. წრფივი ელიფსური ტიპის განტოლებებისთვის განხილულია m-წერტილიანი არალოკალური სააზღვრო ამოცანა და მასთან დაკავშირებული ოპტიმალური მართვის ამოცანები. მიღებულია ოპტიმალობის აუცილებელი და საკმარისი პირობები. აგრეთვე განხილულია სითბოგამტარებლობის ერთგანზომილებიანი განტოლებისათვის საწყის-სასაზღვრო ამოცანა არალოკალური საკონტაქტო პირობებით. აგებული ამოცანის ამოხსნის პარალელური იტერაციული ალგორითმები (იხ. **მოხსენებები ფორუმებზე უცხოეთში [13, 14]**).
განხილულია აგრეთვე მრავალელემენტიანი დარეზერვირებული სისტემა არასაიმედო აღდგენადი ელემენტებით. მისი მათემატიკური მოდელი წარმოადგენს მათემატიკური ფიზიკის არაკლასიკურ სასაზღვრო ამოცანას არალოკალური სასაზღვრო პირობებით (იხ. **სტატია უცხოეთში [6], მოხსენებები ფორუმებზე უცხოეთში [11]**).

ამოცანა 4.3. დიდი მოცულობის მონაცემების დასამუშავებლად პარალელური თვლის ალგორითმების აგება, დამუშავება და შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის ვერიფიკაცია.

განყოფილებაში მიმდინარეობდა მუშაობა პრობლემაზე რომელიც ეხება დიდი მონაცემების პარალელურ დამუშავებას. პარალელური მონაცემები სხვადასხვა ტიპის წინამორბედთა მონაცემებია, რომელთა გამოყენებით, გარკვეული ალბათობით ხდება რომელიმე ერთი მოვლენის პროგნოზირება. თითოეული წინამორბედი წარმოდგება გაფართოებადი მატრიცის დინამიურ სვეტად. მატრიცი გაფართოებადია როგორც სვეტების, ასევე სტრიქონების მიმართ და არ არის წინასწარ განსაზღვრული განზომილების. განხილულია პროგნოზირებისთვის შექმნილი ახალი მიდგომა, რომლის ძირითადი არსი მდგომარეობს არსებული პროგნოზირების მეთოდების სუპერკომპიუტერებზე რეალურ დროში ერთობლივ გამოყენებაში (იხ. **სტატიები უცხოეთში [8, 9, 10]**, **მოხსენებები ფორუმებზე საქართველოში** [**23**], **უცხოეთში [15, 16]**).

განყოფილებაში მიმდინარეობს კვლევა სხვადასხვა ამოცანის მათემატიკური მოდელირების პროცესში ალბათურ-სტატისტიკური მეთოდების გამოყენების მიმართულებით.

სტატისტიკური ჰიპოთეზების შემოწმება წარმოადგენს მათემატიკური სტატისტიკის თეორიისა და პრაქტიკის ერთ-ერთ ძირითად პრობლემას. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს შემთხვევას, როდესაც შესამოწმებელი ჰიპოთეზების რიცხვი დიდია (მეტია ორზე). ბევრი პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტისას (მაგალითად, ბიოსამედიცინო კვლევებისას, ეკონომიკაში, კავშირგაბმულობაში და სხვა) წარმოიქმნება სიტუაცია, როდესაც ერთდროულად შესამოწმებელია სტატისტიკური ჰიპოთეზების მრავალი ქვესიმრავლე, როდესაც ქვესიმრავლეებში ჰიპოთეზების რაოდენობა ორზე მეტია და ასეთი ქვესიმრავლეების რიცხვი მთლიან სიმრავლეში მნიშვნელოვანია (რამდენიმე ასეული და ათასეულიც კი). ასეთ ჰიპოთეზებს მრავლობითი ჰიპოთეზები ჰქვიათ. მრავლობითი ჰიპოთეზების შემოწმებისას, ჰიპოთეზების ტიპებისა და საბოლოო მიზნისაგან დამოკიდებულებით, მრავალი სხვადასხვა კრიტერიუმი გამოიყენება. როგორებიცაა, I, II და III ტიპის შეცდომები, შედარების ტიპის შეცდომის დონე, ოჯახური ტიპის შეცდომის დონე, არასწორი აღმოჩენის დონე, მიმართული არასწორი აღმოჩენის დონე, შერეული მიმართული არასწორი აღმოჩენის დონე და სხვა. შესამოწმებელი ჰიპოთეზების დიდი რაოდენობის დროს, ოპტიმალური გადაწყვეტილების მისაღებად, დიდი დროითი და კომპიუტერული რესურსებია საჭირო. ამიტომ, ძალზე ღირებულია მეთოდები, რომლებიც ახდენენ ამ დანახარჯების მინიმიზაციას. ჩვენ მიერ დამუშავებული ჰიპოთეზების შემოწმების პირობითი ბაიესის მეთოდი ოპტიმალურია ყველა ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმის თვალსაზრისით. მაგრამ, ჰიპოთეზების რიცხვის გაზრდისას მათი რეალიზაციის დროც იზრდება. ამიტომ, ჩვენი მიზანია პირობითი ბაიესის მეთოდების ისეთნაირად გამოყენება, რომ მოხდეს აღნიშნული რესურსების მაქსიმალურად შემცირება. ანუ, ისეთი პირობითი ბაიესის მეთოდების დამუშავება, რომლებიც დიდი მონაცემების დამუშავებისათვის საჭიროებენ მინიმალურ დროით და კომპიუტერულ რესურსებს. ეს პრობლემები, სხვა საკითხებთან ერთად, განხილულია და გადაწყვეტილი შრომებში: **სტატიები უცხოეთში [11, 12, 13], მოხსენებები ფორუმებზე უცხოეთში [17, 18])**.

ამოცანა 4.4. ანალიტიკური ინფორმაციული რესურსის მართვის მხარდამჭერი კიბერ-ინფრასტრუქტურული პროექტი.

ანალიტიკური ინფორმაციული რესურსის მართვის მხარდამჭერი კიბერ-ინფრასტრუქტურის პროექტის ფარგლებში დამუშავდა პანელური მონაცემების სასიცოცხლო ციკლის მართვის პრობლემები **(იხ. სტატია საქართველოში [3]**).

მიმდინარეობდა მუშაობა ინფორმაციის თეორიასა და ფიზიკას შორის ანალოგიების დადგენის მიმართულებით (იხ. **სტატია საქართველოში [4]**).

განყოფილების 1 თანამშრომელი მონაწილეობს საგრანტო პროექტში DI -18 – 1429.

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

№	**გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	ალბათური მეთოდების გამოყენება დისკრეტული ოპტიმიზაციის და განრიგების თეორიის ამოცანებში/ ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები/ მათემატიკა. DI-18-1429	2018 -2021	ნ. ვახანია (ხელმძღვანელი, მექსიკა), ვ. ტარიელაძე (თანახელმძღვანელი). შემსრულებლები: ბ. მამფორია, ზ. სანიკიძე, ვ. ბერიკაშვილი, ა. ჩახვაძე

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

საგრანტო პროექტის DI-18-1429 შემსრულებლები არიან ალბათურ-სტატისტიკური მეთოდების, გამოთვლითი მეთოდების და ინფორმატიკის განყოფილებების თანამშრომლები. პროექტს ხელმძღვანელობს მექსიკის ქალაქ კვერნავაკას უნივერსიტეტის პროფესორი, ინსტიტუტის ყოფილი თანამშრომელი, ნოდარ ვახანია. პირველ საანგარიშო წელს პროექტით განსაზღვრული გეგმა-გრაფიკის მიხედვით მიმდინარეობდა მუშაობა ერთპროცესორიანი განრიგების ამოცანებისთვის ოპტიმალურ ამონახსნთა სიმრავლის შესწავლის მიმართულებით. კვლევებმა აჩვენა, რომ ამ სიმრავლის აღწერა საშუალებას გვაძლევს, რომ გარკვეულ დავალებებს მიენიჭოს პრიორიტეტები ოპტიმალურობის პირობის დაცვით. მოძებნილი იქნა ოპტიმალურ ამოხსნათა რაოდენობა და გამოითვალა ალბათობა იმისა, რომ შესაძლებელი განრიგებებიდან შემთხვევით ამორჩეული განრიგება არის ოპტიმალური. ნაჩვენები იქნა ასევე, რომ შესაძლებელი განრიგებების რიცხვის შემცირების ხარჯზე აღნიშნული ალბათობა შესაძლებელია გაიზარდოს და თუ ის იქნება, მაგალითად, $O(1/n^k)$, მაშინ შემთხვევითი ამორჩევებით შესაძლებელია ოპტიმალური ამონახსნის მოძებნა პოლინომიალურ დროში.
კვლევის შედეგები წლის განმავლობაში ეტაპობრივად იქნა წარმოდგენილი საინსტიტუტო მუდმივმოქმედ სემინარებზე პროექტის მონაწილეთა მიერ. პირველი წლის სამუშაო გეგმის თანახმად გაკეთდა მოხსენებები საერთაშორისო კონფერენციებზე და გამოსაქვეყნებლად გადაეცა 2 სტატია რეფერირებად ჟურნალებში (იხ. **საერთაშორისო ფორუმები საქართველოში [9], მომზადებული ნაშრომები [5, 6]).**
გრანტით დაფინანსდა გრანტის ხელმღვანელის პროფესორ ნოდარ ვახანიას მივლინება მექსიკიდან თბილისში, გრანტის თანახელმძღვანელის ვაჟა ტარიელაძის მივლინებებები საერთაშორისო კონფერენციებზე ლვოვში, ბუდაპეშტში და ბათუმში, აგრეთვე გრანტის მონაწილეების ბადრი მამფორიას, ზაზა სანიკიძის, ალექსანდრა ჩახვაძისა და ვალერი ბერიკაშვილის მივლინებები საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის მეათე საერთაშორისო კონფერენციაზე ბათუმში.

4. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

4.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Ed. Abramidze, El. Abramidze	Analysis of nonlinear deformation task of layered cylindrical shell by local surface force and temperature field ISSN 1512-0074	Journal of Applied Mathematics, Informatics and Mechanics, 24, No. 2, 2019.	Tbilisi, TSU-VIAM	8
2	ლ. კახიანი, მ. კუბლაშვილი, ნ. ნებიერიძე, მ. თავაძე	რკინაბეტონის ელემენტე-ბის ხანგამძლეობის დადგენა „რკინაბეტონის რღვევის მექანიკის“ მეთოდების გამოყენებით ISSN 1512-3936	სამეცნიერო ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“, 2 (51), 24-27, 2019.	თბილისი, სტუ - ს გამომცემლობა	4
3	Z. Gamezadrashvili, G. Ghlonti, H. Ergun	About one NoSQL Mechanism for Accessing Panel Data. ISSN: 2298-0032, e-ISSN: 2346-8270	Journal of Technical Science and Technologies, Volume 7, Issue 2, IBSU, 2019	Tbilisi, IBSU	12
4	Z. Kipshidze, G. Ananiashvili	To the Analogy between Information Theory and physics. ISSN 0132 - 1447	Bulletin of the Georgian National Academy of Sciences. 2019, 13, №2, p. 22-27	თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია	6

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. შესწავლილია ფენოვანი ცილინდრული გარსის დეფორმაციის ამოცანა ლოკალური ზედაპირული ძალე-ბით დატვირთვის შემთხვევაში. გამოკვლეულია ტემპერატურული ველის ზემოქმედების გავლენა ცილინ-დრული გარსის დეფორმირებულ-დაძაბულ მდგომარეობაზე. მიღებულია აღნიშნული კლასის ამოცანების ამომხსნელი დიფერენციალურ განტოლებათა სისტემა. კერძო სახის ამოცანების რიცხვითი რეალიზაციის მიზნით აგებულია ალგორითმი სათანადო პროგრამული უზრუნველყოფით;
2. ნაშრომში განხილულია ძაბვების მოქმედების შედეგად რკინაბეტონის ელემენტზე წარმოქმნილი ბზა-რის გაანგარიშების ამოცანა რღვევის მექანიკის თეორიის გამოყენებით. აღნიშნული ამოცანა მიყვანილია რთულ ინტეგრო-დიფერენციალურ განტოლებაზე. აგებულია ამ განტოლების რიცხვითი ამოხსნის ალგო-რითმი. ბზარის სიგრძის, სიგანის და სისქის გათვლების მიხედვით დადგენილია დრო, რომლის შემდეგ ელემენტი იწყებს რღვევას. შედგენილი და რეალიზებულია სათანადო კომპიუტერული პროგრამა სხვადა-სხვა კონკრეტული შემთხვევისთვის.
3. ნაშრომში განხილულია პანელური მონაცემებით წარმოდგენილი ინფორმაციული რესურსის სასიცოც-ხლო ციკლის მხარდაჭერის საკითხები. მოყვანლია რესურსის დაგეგმვის ეტაპზე შექმნილი სტატისტიკუ-რი დოკუმენტის ლოგიკური დაკაბადონების მაგალითი და რელაციური ფორმალიზმი, რომელიც ამ დო-

